



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

31 ივლისი 2024



N 396/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

### ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ზუმარი.კომის“ სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ზუმარი.კომის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ზუმარი.კომის“ კუთვნილი მოცვის ბაღის ინსპექტირება და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 82<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კომპანიის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №089941 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 26.25.13.105; ფართობი 30 000 მ<sup>2</sup>) გათვალისწინებულია ჯამურად 9 000 ერთეული მოცვის ნერგის გაშენება, რომელთა მოსარწყავად საპროექტო ტერიტორიაზე მოწყობილია სამელიორაციო (სარწყავი) სისტემა. უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 440 მეტრით, ხოლო წყალაღების წერტილიდან – 280 მეტრით. ამასთან, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 480 მეტრში მდებარეობს დაბა ლაითურის სკოლა, რომელიც წყალაღების წერტილიდან დაშორებულია დაახლოებით 340 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ლელა, მიედინება მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 78 მეტრში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ნერგების მორწყვა გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული სამარაგო ავზიდან (250 მ<sup>3</sup>), რომელიც შეივსება ამავე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობის სახურავიდან შეკრებილი წვიმის წყლით. გვალვიან სეზონზე აღნიშნული სამარაგო ავზის შესავსებად საჭირო წყლის აღება გათვალისწინებულია მდ. ლელადან, სადაც მოწყობილია შესაბამისი წყალმიღები (GPS კოორდინატები: X-244419, Y-4643883). მდინარის კალაპოტში განთავსებულია პოლიეთილენის 2 კოლექტორი (თითოეული 800 მმ), რომელშიც ჩადგმულია ჩასადირი ტუმბო. მდინარიდან აღებული წყალი სამარაგო ავზამდე მიყვანილია 131 მეტრი სიგრძის მიწისქვეშა მილით, რომლის დიამეტრიც 63 მმ-ს შეადგენს. სამარაგო ავზიდან პლანტაციაზე სარწყავი წყლის მიწოდება ხდება დახურულ შენობა-ნაგებობაში დამონტაჟებული 15 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ტუმბოს საშუალებით. ტუმბოდან სარწყავი წყალი მიეწოდება ფილტრებს, საიდანაც გადადის მაგისტრალურ (d-63 მმ, L-460 მ), შემდეგ ქვემაგისტრალურ (d-50 მმ, L-440 მ) და საწვეთურიან (d-16 მმ, L- 6300 მ) მილებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, მოცვის ბაღების მორწყვა დაგეგმილია სეზონურად, წელიწადში 5 თვის განმავლობაში (მაისი-სექტემბერი). საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებული 9 000 ნერგის მოსარწყავად საჭირო წყლის რაოდენობა შეადგენს წელიწადში 780 მ<sup>3</sup>-ს. მოცემული რაოდენობით მდ. ლელადან წყლის ამოღებით, მდინარის ჰიდროლოგიურ რეჟიმზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ მდ. ლელადან წყალაღების წერტილის მიმდებარედ სხვა წყალმოსარგებლები არ ფიქსირდება. შესაბამისად, საქმიანობის შედეგად კუმულაციურ ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ვინაიდან, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციისთვის საჭირო ძირითადი ინფრასტრუქტურა (სამარაგო ავზი, მაგისტრალური, ქვემაგისტრალური და წვეთოვანი მილსადენები, სატუმბი სადგურები) უკვე მოწყობილია, საქმიანობა არ იქნება დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოებთან და ნიადაგზე, გრუნტზე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ასევე, ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროებია სატუმბო დანადგარები, რომლებიც მცირე წარმადობისაა და მათგან ერთი განთავსებულია დახურულ შენობა-ნაგებობაში ხოლო მეორე წარმოადგენს მდინარეში დამირულ ტუმბოს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტისა და სკოლის მიმართულებით გაშენებულია ხე-მცენარეულობა, რაც წარმოადგენს ხმაურის გავრცელების ბუნებრივ ბარიერს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ობიექტზე პლანტაციის აგროსამუშაოების შედეგად ადგილი ექნება სახიფათო ნარჩენების (სასუქების და ქიმიკატების შესაფუთი მასალები) წარმოქმნას, რომელიც შეგროვდება დახურულ შენობაში და აგროსამუშაოების დასრულების შემდეგ გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიები წლების განმავლობაში განიცდიდა ანთროპოგენურ ზემოქმედებას, გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორია შემოღობილია მავთულით, შესაბამისად, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობის, სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ლაითურში შპს „ზუმარი.კომის“ სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ზუმარი.კომი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ზუმარი.კომს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ზუმარი.კომის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/396-21-4-202407311020>

